



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

ბიზნესის მართვა

1. პროგრამის დასახელება:

ბიზნესის მართვა

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ბიზნესის მართვის ბაკალავრი

Bachelor of Business Administration (BBA)

3. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის და სტრუქტურული ერთეულების დასახელება

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ეკონომიკის დეპარტამენტი

4. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

- მიზანი

პროგრამის ზოგადი მიზანია სწავლებისა და სწავლის პროცესის ისეთი ორგანიზება, რომელიც გაითვალისწინებს და დაეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს, სტუდენტების მისწრაფებებსა და სურვილებს და ორიენტირებული იქნება სწავლების შესაბამის შედეგებზე. სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს, ან რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს/კურსდამთავრებულს ამ ცოდნის გამოყენებით გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი სასწავლო პროცესის დასრულების შედეგად.

„ბიზნესის მართვის“ პროგრამის კურსდამთავრებულს მოეთხოვება ზოგად თეორიული და პრაქტიკული მომზადება. კერძოდ:

- ✓ მას საფუძვლიანად უნდა ჰქონდეს შესწავლილი სპეციალური, მაპროფილებელი დისციპლინები: ბიზნესის საფუძვლები; ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები; ფული, კრედიტი, ბანკები; მენეჯმენტის საფუძვლები; ფინანსების საფუძვლები; ფინანსური აღრიცხვა; სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის; ადამიანური რესურსების მენეჯმენტი; მარკეტინგი; მმართველობითი აღრიცხვა; სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი; კორპორაციათა ფინანსები; ინვესტირების საფუძვლები; ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა; სტრატეგიული მენეჯმენტი;
- ✓ უნდა იცოდეს საერთო ეკონომიკური დისციპლინები: ეკონომიკური თეორია; ეკონომიკური აზრის ისტორია; მაკროეკონომიკა; მიკროეკონომიკა; საქართველოს ეკონომიკა; საერთაშორისო ეკონომიკა;
- ✓ სრულყოფილად უნდა ერკვეოდეს არჩეული სპეციალიზაციის სპეციფიკაში და გამომუშავებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი უნარ-ჩვევები;
- ✓ მიეზული უნდა ჰქონდეს თეორიული ცოდნა ორგანიზაციასა და კომუნიკაციაში და ფლობდეს შესაბამის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს;
- ✓ იგი უნდა ამჟღავნებდეს საკმარის ცოდნას მათემატიკასა და ალბათობის თეორიაში;
- ✓ უნდა იცოდეს ერთი უცხო ენა მანც;
- ✓ უნდა ფლობდეს ინფორმატიკის საფუძვლებს და შეეძლოს შესაბამისი ტექნიკის გამოყენება (მომხმარებლის დონეზე), შეეძლოს ინტერნეტში მუშაობა;
- ✓ უნდა ერკვეოდეს ბიზნესის წარმოებისათვის აუცილებელ ისეთ სპეციფიკურ საკითხებში, როგორებიცაა: ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება, ბიზნესის ეთიკა და ეკონომიკური ფსიქოლოგია, კულტურული და ისტორიული ფასეულობები და ა.შ.;

- ✓ გამომუშავებული უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი აზროვნების, მოვლენათა ანალიზისა და შეფასების, ზოგად-თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ნაშრომების შექმნის უნარ-ჩვევები;

- შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები

„ბიზნესის მართვის“ კურსდამთავრებული აღჭურვილი უნდა იყოს ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით. მათ შორის:

ზოგადი კომპეტენციები:

- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
- დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება
- მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი
- მეორე (უცხოურ) ენაზე კომუნიკაციის უნარი
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი
- პრობლემების იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი
- ჯგუფში მუშაობის უნარი
- ადამიანებს შორის ურთიერთობისა და ურთიერთქმედების/დიალოგის უნარი
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარი
- პროექტების შემუშავებისა და მართვის უნარი
- სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი

დარგობრივი, სპეციფიკური კომპეტენციები:

- კომპანიის წინაშე არსებული პრობლემების ანალიზისა და სტრუქტურირების უნარი
- ორგანიზაციის აუდიტი და საკონსულტაციო გეგმის შემუშავება
- ადეკვატური ინსტრუმენტების განსაზღვრა და გამოყენება
- ბიზნესორგანიზაციის ორგანული მახასიათებლების განსაზღვრა
- ორგანიზაციის ფუნქციონალური სფეროებისა და მათ შორის არსებული კავშირების განსაზღვრა
- მიკრო და მაკროეკონომიკური ელემენტების ზეგავლენის განსაზღვრა ბიზნესორგანიზაციაზე
- ბიზნესის ფუნქციების, ფორმების, მოცულობის, გეოგრაფიული რეგიონების და ბიზნეს სექტორების დეტალური ცოდნა და მათი დაკავშირება საბაზისო ცოდნასა და თეორიებთან
- ტექნიკური პრინციპების ცოდნა და მათი დაკავშირება ბიზნესის/მენეჯმენტის ცოდნასთან
- ბუღალტრული და ფინანსური სისტემების ცოდნა და გამოყენება
- პროექტების მართვის უნარი
- ორგანიზაციების ნაციონალური და გლობალური ეკონომიკური გარემოს ცოდნა

- დასაქმების სფეროები

1. პროფესიული საქმიანობის არე

„ბიზნესის მართვის“ სპეციალობის კურსდამთავრებულს, არჩეული სპეციალიზაციის გათვალისწინებით, შეუძლია იმუშაოს სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ფუნქციონირებად მეურნე სუბიექტებში თუ სამეურნეო გაერთიანებებში, ფინანსურ ინსტიტუტებში, შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებში, მაკონტროლებელ ორგანოებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და ა.შ. აღნიშნულ სამსახურებში სპეციალისტი ახორციელებს და უზრუნველყოფს: მათ მიერ კაპიტალის მართვის, კლიენტებთან ურთიერთობის და სხვა აქტივობებს; ბიუჯეტის შედგენას და მის რეალიზაციაში ხელშეწყობას; ფინანსური და ინვესტიციური გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას და ამისათვის საჭირო ანალიზური საქმიანობის წარმართვას; ბიზნეს-გეგმების შემუშავებას; მიღწეული შედეგების ეკონომიკურ ანალიზსა და მონაწილობს მომავალი განვითარების პრიორიტეტების გამოკვეთაში და სხვ.

2. პროფესიული საქმიანობის ობიექტი

„ბიზნესის მართვის“ სპეციალობის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან საჯარო მართვისა და არასამთავრობო სექტორებში, ფინანსურ ინსტიტუტებში, კერძო ნაციონალურ და ტრანსნაციონალურ კორპორაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, კერძოდ:

1. საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები: კომერციული ბანკები, არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები, სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო კომპანიები და ფონდები და ა.შ.;
2. კერძო კომპანიათა საფინანსო-ეკონომიკური სამსახურები;
3. არასამთავრობო ორგანიზაციების, ფონდების, კავშირების და ა.შ. ფინანსური სამსახურები;
4. შესაბამისი სახელმწიფო სამსახურები და სტრუქტურული ერთეულები;

3. პროფესიული საქმიანობის სახეები და ამოცანები:

- ინფორმაციულ-ანალიტიკური;
 - საჭირო ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, სისტემატიზირება, განზოგადება და ანალიზი, რაც შექმნის პირობებს მათზე დაყრდნობით მომავალში ანალიზური საქმიანობის განხორციელებისა და შესაბამისი კვლევების ჩატარებისათვის;
- ანალიზურ-საპროგნოზო;
 - არსებული ინფორმაციულ მონაცემებზე დაყრდნობით ეკონომიკური და ფინანსური ანალიზის ჩატარება;
 - მიღებული შედეგების შედარება კომპანიის მიზნებთან და შესაბამისობის დადგენა;
 - ანალიზური საქმიანობის შედეგების საფუძველზე მომავალი საქმიანობის პრიორიტეტების გამოკვეთა;
 - დინამიკური ანალიზის განხორციელება და საფუძვლების შექმნა პროგნოზირებისათვის;

- დაგეგმარებითი;
 - კორპორაციის ბიზნეს-გეგმის და სტრატეგიული განვითარების პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა;
 - ფინანსური გეგმის შედგენისა და მისი რეალიზაციის უზრუნველყოფაში მონაწილეობა;
- ადმინისტრაციულ-მმართველობითი;
 - კორპორაციის ბიზნეს-გეგმის და სტრატეგიული განვითარების პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობა;
 - კომპანიის ფინანსური მდგომარეობის და მომავალი პერსპექტივების შეფასება და სტრატეგიული განვითარების მატრიცების შედგენა;
 - დივიდენდების და წარმოების განვითარების პოლიტიკის შემუშავებაში ჩართვა;
 - საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში კონტრაქტების პირობების განსაზღვრა და რეალიზაციის ხელშეწყობა;
 - კომპანიის ინვესტიციური პორტფელის და რისკების მართვაში მონაწილეობა;
- რეკომენდაციული;
 - კორპორაციის მიკრო და მაკრო გარემოს შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება;
 - სოციალურ-შრომითი ურთიერთობების მართვა და პერსონალის გაგვეგმვა;
 - მიღებული გადაწყვეტილებების და შემუშავებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვის უზრუნველყოფა;

5. პროგრამაზე მიღების წინაპირობები

აბიტურიენტის განათლების წინამორბედი დონეა სრული საშუალო ან მისი ექვივალენტური განათლება. აბიტურიენტს უნდა გააჩნდეს სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს მას სტუდენტის სტატუსს საქართველოს მოქალაქეებისათვის ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (სახელმწიფოებს შორის) შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში.

6.პროგრამის სტრუქტურა

№	კურსი	სკ	ლ./პრ./ს/ლაზ.	კრედი- ტთა რაოდენ ობა	სემესტრები								წინაპირობა
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
პროგრამის სავალდებულო კურსები (170 კრედიტი)													
1	აკადემიური წერა	3	0/3/0/0	5	5								
2	ინფორმაციული ტექნოლოგიები	3	1/0/0/2	5	5								
3	უცხო ენა 1	3	0/3/0/0	5	5								
4	უცხო ენა 2	3	0/3/0/0	5		5							
5	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1	3	2/1/0/0	5	5								
6	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2	3	2/1/0/0	5		5							
7	სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია	3	2/1/0/0	5		5							
8	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	3	2/1/0/0	5			5						
9	ორგანიზაციული და კომუნიკაციური უნარჩვევების განვითარება	3	2/1/0/0	5								5	
10	ეკონომიკური თეორია 1	3	2/1/0/0	5	5								
11	ეკონომიკური თეორია 2	3	2/1/0/0	5		5							
12	ეკონომიკური აზრის ისტორია	3	2/1/0/0	5			5						
13	მაკროეკონომიკა	3	2/1/0/0	5			5						
14	მიკროეკონომიკა	3	2/1/0/0	5				5					
15	საქართველოს ეკონომიკა	3	2/1/0/0	5					5				
16	საერთაშორისო ეკონომიკა 1	3	2/1/0/0	5						5			
17	საერთაშორისო ეკონომიკა 2	3	2/1/0/0	5							5		
18	ბიზნესის საფუძვლები	3	2/1/0/0	5		5							
19	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	3	2/1/0/0	5			5						
20	ფული, კრედიტი, ბანკები	3	2/1/0/0	5			5						
21	მენეჯმენტის საფუძვლები	3	2/1/0/0	5				5					

22	ფინანსების საფუძვლები	3	2/1/0/0	5				5				
23	ფინანსური აღრიცხვა	3	2/1/0/0	5				5				
24	სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 1	3	2/1/0/0	5				5				
25	სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 2	3	2/1/0/0	5				5				
26	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	3	2/1/0/0	5				5				
27	მარკეტინგი	3	2/1/0/0	5				5				
28	მმართველობითი აღრიცხვა	3	2/1/0/0	5					5			
29	სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი	3	2/1/0/0	5					5			
30	კორპორაციათა ფინანსები	3	2/1/0/0	5						5		
31	ინვესტირების საფუძვლები	3	2/1/0/0	5						5		
32	ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა	3	2/1/0/0	5							5	
33	სტრატეგიული მენეჯმენტი	3	2/1/0/0	5							5	
34	პროფესიული პრაქტიკა			5								5
ძირითადი სპეციალობის არჩევითი მოდულები (40 კრედიტი)												
ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე				40								
1	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი	3	2/1/0/0	5				5				
2	საგადასახადო და საბაჟო-სატარიფო პოლიტიკა	3	2/1/0/0	5					5			
3	სადაზღვევო საქმე	3	2/1/0/0	5					5			
4	საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები	3	2/1/0/0	5						5		
5	ფინანსური ბაზრები და ფინანსური ინსტრუმენტები	3	2/1/0/0	5						5		
6	საბანკო საქმე 1	3	2/1/0/0	5						5		
7	საბანკო საქმე 2	3	2/1/0/0	5							5	
8	ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები	3	2/1/0/0	5							5	
საბუღალტრო და საგადასახადო საქმე				40								
1	გადასახადები	3	2/1/0/0	5				5				

2	საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები	3	2/1/0/0	5					5			
3	გადასახადების აღრიცხვა	3	1/2/0/0	5					5			
4	ფინანსური ანალიზი	3	1/2/0/0	5						5		
5	ზოგადი აუდიტი	3	1/2/0/0	5						5		
6	ფინანსური ანგარიშგება	3	1/2/0/0	5						5		
7	აღრიცხვა ბანკებში	3	1/2/0/0	5							5	
8	საბიუჯეტო აღრიცხვა	3	1/2/0/0	5							5	
მენეჯმენტი					40							
1	საწარმოს ეკონომიკა	3	2/1/0/0	5				5				
2	მეწარმეობა	3	2/1/0/0	5					5			
3	შრომის ეკონომიკა	3	2/1/0/0	5					5			
4	ორგანიზაციის თეორია	3	2/1/0/0	5						5		
5	ინოვაციური მენეჯმენტი	3	2/1/0/0	5						5		
6	ფუნქციონალური მენეჯმენტი	3	2/1/0/0	5						5		
7	ადმინისტრაციულ-მმართველობითი სისტემები	3	2/1/0/0	5							5	
8	პროექტების მენეჯმენტი	3	1/2/0/0	5							5	
მარკეტინგი					40							
1	საერთაშორისო მარკეტინგი	3	2/1/0/0	5				5				
2	მარკეტინგის მართვა	3	2/1/0/0	5					5			
3	მარკეტინგული კვლევები 1	3	1/2/0/0	5					5			
4	მარკეტინგული კვლევები 2	3	1/2/0/0	5						5		
5	მომსახურების მარკეტინგი	3	2/1/0/0	5						5		
6	დისტრიბუციული პოლიტიკა (განაწილების არხები)	3	2/1/0/0	5						5		
7	ინდუსტრიული მარკეტინგი	3	2/1/0/0	5							5	
8	ტურიზმის მარკეტინგი	3	2/1/0/0	5							5	
ტურიზმი					40							
1	ტურიზმის ეკონომიკა	3	2/1/0/0	5				5				
2	რუკათმცოდნეობა	3	2/1/0/0	5					5			
3	საქართველოს გეოგრაფია	3	2/1/0/0	5					5			

4	ტურიზმის საფუძვლები და საერთაშორისო ტურიზმის გეოგრაფია	3	2/1/0/0	5							5	
5	ტურიზმის მენეჯმენტი	3	2/1/0/0	5							5	
6	ტურიზმის მარკეტინგი	3	2/1/0/0	5							5	
7	მღვიმეთმცოდნეობა და სპელეოტურიზმი	3	2/1/0/0	5								5
8	დაცული ტერიტორიები	3	2/1/0/0	5								5
პროგრამის არჩევითი კურსები (30 კრედიტი)												
არჩევითი კურსი - 1		3	2.1.0.0	5	5							
1.1	ფილოსოფიის ისტორია											
1.2	რელიგიის ისტორია											
არჩევითი კურსი - 2		3	2.1.0.0	5	5							
2.1	საქართველოს ისტორია											
2.2	სახელმწიფო და სამართლის საფუძვლები											
არჩევითი კურსი - 3		3		5		5						
3.1	კულტუროლოგია		2.1.0.0									
3.2	ბიზნეს უცხო ენა 1		0.3.0.0									
არჩევითი კურსი - 4		3		5		5						
4.1	ბიზნეს ეტიკა და ეკონომიკური ფსიქოლოგია		2.1.0.0									
4.2	ბიზნეს უცხო ენა 2		0.3.0.0									
არჩევითი კურსი - 5		3	2.1.0.0	5				5				
5.1	ინტერნეტ რესურსები											
5.2	ეროვნულ ანგარიშთა სისტემა											
არჩევითი კურსი - 6		3	2.1.0.0	5						5		
6.1	ფინანსური მათემატიკა											
6.2	რეგიონული ეკონომიკა და მუნიციპალური მართვა											
სულ				240	30	30	30	30	30	30	30	30

* შენიშვნა: სტუდენტს ბიზნეს უცხო ენა 2 შეუძლია აირჩიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას ათვისებული აქვს ბიზნეს უცხო ენა 1. გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში; ლ/პ/ს/ლაბ. - ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიულ

7. პროგრამით გათვალისწინებული კურსების მოკლე ანოტაციები.

კურსის კოდი:HLB0030

აკადემიური წერა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართველი ერის ისტორიული განვითარების გზა, ქართული ენის წარმოშობა და მისი თეორიები, ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში, ქართული დამწერლობის წარმოშობა, განვითარების ეტაპები, ქართული ენის ურთიერთობა სხვა ენებთან, დიალექტები და ურთიერთობა სალიტერატურო ენასთან, ქართული ენის ნორმირების საკითხები. სტილის რაობა, სტილისტიკის დარგები, ფუნქციური სტილი, სადა, ანუ პროზაული მეტყველებისა და მხატვრული მეტყველების სტილი, სადა მეტყველებისა და პოეტური მეტყველების სტილი. სტილის შექმნის ენობრივი რესურსები, სტილისტური ნორმის ცნება. ენობრივი ერთეულების პრაგმატული ფაქტორები, ლოგიკური აზროვნების კანონები. სიტყვის ემოციური იერი, შეფასების მომენტი, სიტყვათა ხმარების სფერო, ლექსიკური ფონდის გამდიდრების გზები. ენის ფრაზეოლოგიურ საშუალებათა სტილური ფუნქციები. ენის გამომხატველობითი საშუალებანი. საკურსო, საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომთა ენა და სტილი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:

კურსის კოდი:NIB0600

ინფორმაციული ტექნოლოგიები (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კომპიუტერები თანამედროვე საზოგადოებაში; კომპიუტერული სისტემის ზოგადი აღწერა; მონაცემთა დამმუშავებელი ჰარდუერი; მონაცემთა დამუშავების სიმძლავრის შეფასება; მონაცემთა შემტანი ჰარდუერი; მონაცემთა შემნახველი ჰარდუერი; მონაცემთა იერარქია; მონაცემთა შემნახველი საშუალებები; მონაცემთა გადამცემი ჰარდუერი; გამოყენებითი სოფთუერი; ტექსტის მომზადების სოფთუერი; ელექტრონული ცხრილის სოფთუერი; კომპიუტერები სამუშაო ადგილებზე და კომპიუტერიზაციის მართვა; ხელოვნური ინტელექტი; ჰარდუერის, სოფთუერის და მონაცემების დაცვა; საოპერაციო სისტემა Windows XP; ტექსტის მომზადების პროგრამა Word; ელექტრონული ცხრილი Excel.

კურსის კოდი: NMB0360

მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სიმრავლე, მისი ელემენტი. ფუნქციის ცნება. რთული ფუნქცია და მისი თვისებები. კომპლექსური რიცხვები. მოქმედებები კომპლექსურ რიცხვებზე, კომპლექსური რიცხვის მოდული და არგუმენტი, გეომეტრიული ინსტრუქცია. კომპლექსური რიცხვის ტრიგონომეტრიული ფორმა. მუავრის ფორმულა, n -ური ხარისხის ფესვი კომპლექსური რიცხვიდან. წრფის განტოლება ღერძთა მონაკვეთებში. წრფის ზოგადი განტოლება. წრფის კანონიკური და პარამეტრული განტოლება, წრფეთა კონის განტოლება. მოცემულ ორ წერტილზე გამავალი წრფის განტოლება, კუთხე ორ წრფეს შორის. წრეწირი, ელიფსი, ჰიპერბოლა, პარაბოლა, მატრიცის ცნება. მოქმედებები მატრიცებზე, მატრიცათა სახეები. მეორე და მესამე რიგის დეტერმინანტები. მინორი და ალგებრული დამატება, დეტერმინანტის მინორული განმარტება. n -ური რიგის დეტერმინანტის ცნება. ორუცნობიან წრფივ განტოლებათა სისტემა. სამუცნობიან წრფივ განტოლებათა სისტემა, კრამერის ფორმულები. მატრიცის რანგის ცნება. წრფივ განტოლებათა სისტემის ამოხსნა გაუსის მეთოდით. მიმდევრობა, მისი მოცემის წესები, მიმდევრობის ზღვარი, ზოგიერთი თეორემა ზღვართა შესახებ. უსასრულოდ მცირე და უსასრულოდ დიდი მიმდევრობები. დამოკიდებულება მათ შორის. არითმეტიკული ოპერაციები კრებად მიმდევრობებზე. თეორემა მონოტონური მიმდევრობის კრებადობის

შესახებ. ნეპერის რიცხვი. ფუნქციის ზღვრის ცნება, ფუნქციის ცალმხრივი ზღვრები, ფუნქციის ზღვარი, როდესაც $x \rightarrow \pm\infty$. ძირითადი თეორემები ზღვრებზე. უსასრულოდ მცირე და უსასრულოდ დიდი ფუნქციები, შესანიშნავი ზღვრები, ნეპერის რიცხვი ზოგად შემთხვევაში. უსასრულოდ მცირეთა შედარება, ეკვივალენტური უსასრულოდ მცირეები. მაღალი რიგის უსასრულოდ მცირეთა უკუგდების პრინციპი. ფუნქციის უწყვეტობა, უწყვეტ ფუნქციათა ძირითადი თვისებები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: აღნიშნული საგნის ცალკეული თემების სრულყოფილი შესწავლისათვის სტუდენტი უნდა ფლობდეს საკმაოდ ცოდნას ელემენტარულ მათემატიკაში

კურსის კოდი: NMB0370

მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: წარმოებულის ცნება. მისი გეომეტრიული და ეკონომიკური აზრი, გაწარმოების ძირითადი წესები. ფუნქციის დიფერენციალი და მისი გეომეტრიული შინაარსი. მაღალი რიგის წარმოებულები. ფუნქციის ლოკალური ექსტრემუმი, ექსტრემუმის აუცილებელი პირობა. ფუნქციის კრიტიკული წერტილები. როლის და ლაგრანჟის თეორემები, კოშის თეორემა, ლოპიტალის წესი. ტეილორის ფორმულა. ფუნქციის მონოტონურობის პირობები, ექსტრემუმის არსებობის საკმარისი პირობები. ფუნქციის ამოხსნეილობა-ჩაზნეილობისა და გადაღუნვის წერტილების არსებობის პირობები. ორი ცვლადის ფუნქციის კერძო წარმოებულები და სრული დიფერენციალი. ორი ცვლადის ფუნქციის ექსტრემუმის აუცილებელი და საკმარისი პირობები. ფუნქციის პირველყოფილი და განუსაზღვრელი ინტეგრალი და მისი ძირითადი თვისებები. ძირითად ინტეგრალთა ცხრილი. ნაწილობითი ინტეგრებისა და ცვლადთა გარდაქმნის ფორმულები. განსაზღვრული ინტეგრალის ცნება და მისი ძირითადი თვისებები. ნაწილობითი ინტეგრებისა და ცვლადთა გარდაქმნის ფორმულები განსაზღვრული ინტეგრალისათვის. საშუალო მნიშვნელობის თეორემა. ინტეგრალი ცვლადი ზედა საზღვრით. ნიუტონ-ლაიბნიცის თეორემა. ინტეგრალის გამოყენება ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად. პირველი რიგის წრფივი დიფერენციალური განტოლება, მეორე რიგის მუდმივკოეფიციენტებიანი წრფივი ერთგვაროვანი დიფერენციალური განტოლება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1

კურსის კოდი: NGB0390

სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, მსოფლიოს ბუნებრივი რესურსების გეოგრაფია, მსოფლიოს მოსახლეობის გეოგრაფია, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და მსოფლიო მეურნეობა (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, მშენებლობა და არამატერიალური წარმოების დარგები) მსოფლიო მეურნეობის დარგების გეოგრაფია; პოლიტიკური გეოგრაფია; მსოფლიოს უდიდესი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა;საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციები; მსოფლიო რეგიონალური გეოგრაფია; თანამედროვე გლობალური პრობლემები.

კურსის კოდი: NMB0090

ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მწკრივთა თეორიის ელემენტები; არასაკუთრივი ინტეგრალის ძირითადი თვისებები; ხდომილობათა სივრცე; ალბათობის აქსიომატური, კლასიკური და გეომეტრიული განმარტებები; ბერნულის სქემა; პუასონის ფორმულა; მუავრ-ლაპლასის მიახლოებითი ფორმულები; განაწილების ძირითადი სახეები; შემთხვევითი სიდიდეები და მათი რიცხვითი მახასიათებლები; მახასიათებელი ფუნქციები; ცენტრალური ზღვართი

თეორემები; დიდ რიცხვთა კანონი; უცნობი პარამეტრების წერტილოვანი შეფასებების დადგენის მეთოდები; ნდობის ინტერვალების აგების მეთოდები; ემპირიული განაწილების ფუნქცია; სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება; წრფივი რეგრესიის კოეფიციენტების განსაზღვრა; დისპერსიული ანალიზის ელემენტები
კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მათემატიკა ეკონომისტებისათვის

კურსის კოდი -SEB0590

ორგანიზაციული და კომუნიკაციური უნარჩვევების განვითარება (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გაცნობის, მოლოდინების და პრეზენტაციის ტექნიკები, გუნდური მუშაობა, ლიდერობა-ფასილიტაცია, კომუნიკაცია და მისი ეტაპები, აქტიური მოსმენა, მოლაპარაკებები და გადაწყვეტილებების მიღება, კონფლიქტის მართვა - მედიაცია, ორგანიზაციული განვითარება, არასამთავრობო ორგანიზაციის მარკეტინგი, ფონდების მოძიება, გრანტი და მისი შემდგენელი ნაწილები, საგრანტო პროექტის შემუშავება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: მენეჯმენტის სსაფუძვლები; მარკეტინგი

კურსის კოდი -SEB0140

ეკონომიკის პრინციპები (I ნაწილი) (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ეკონომიკური თეორია როგორც მეცნიერება; ეკონომიკის პრინციპები; წარმოება და ეკონომიკური ზრდა; ეკონომიკური რესურსები და წარმოების ფაქტორები; საკუთრება და მისი ეკონომიკური ასპექტები; წარმოების დანახარჯები და მოგება; თანამედროვე საკუთრებითი ურთიერთობანი და სამეწარმეო საქმიანობა; საქონელწარმოება და მისი როლი საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაში, ფულადი და მისი ფუნქციები;

კურსის კოდი -SEB0150

ეკონომიკის პრინციპები (II ნაწილი) (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფაქტორული შემოსავლები და მათი ფუნქციონალური განაწილება? მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და უმუშევრობა; ბაზარი და მისი წარმოშობა-განვითარების კანონზომიერებანი; ფასი და ფასწარმოქმნის მექანიზმი; საბაზრო ეკონომიკა; ფინანსური სისტემა; სახელმწიფო ბიუჯეტი; თანამედროვე საკრედიტო-საბანკო სისტემა, თანამედროვე აგრარული ურთიერთობანი; კვლავწარმოება და ეკონომიკური ზრდა; ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების კონცეფცია; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკის პრინციპები (I ნაწილი)

კურსის კოდი -SEB0130

ეკონომიკური აზრის ისტორია (5)

კურსის მოკლე აღწერა - ეკონომიკური აზრის ისტორია წარმოადგენს ზოგად-ეკონომიკურ თეორიულ მეცნიერებას. საგანი შეისწავლის ეკონომიკური აზრის განვითარებას ლოგიკურ-ქრონოლოგიურ ჭრილში, ჰამურაბის კანონებში ჩამოყალიბებული ეკონომიკური აზროვნების ელემენტებით დაწყებული თანამედროვე ეკონომიკური თეორიებით დამთავრებული. კურსი განიხილავს ეკონომიკური აზრის განვითარებას ადამიანთა საზოგადოების ყველა ეტაპზე - მონათმფლობელობის რეფორმატორული, ფეოდალიზმის საეკლესიო-ეროვნული და კაპიტალიზმის განვითარება ჩამოყალიბების კანონზომიერებებს. კერძოდ, მსოფლიო ეკონომიკური აზრის განვითარებას, ეკონომიკური თეორიის პირველი სისტემების

ჩამოყალიბების პროცესს და თანამედროვე სახელმწიფო-მმართველობისა და ლიბერალურ-ეკონომიკურ მოძღვრებებს.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორია და მსოფლიო ისტორია.

კურსის კოდი -SEB0550

მიკროეკონომიკა (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ეკონომიკის ძირითადი ცნებები, მოთხოვნა და მიწოდება, სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში, მომხმარებელთა ქცევა და საბაზრო მოთხოვნა, მეწარმეობრივი საქმიანობა, სრულყოფილი და არასრულყოფილი კონკურენცია, მონოპოლია და ოლიგოპოლია, ეკონომიკის რეგულირება, წარმოება და შრომის ბაზარი, ადამიანური ფაქტორი, უთანაბრობა და სიღარიბე, ველფერი და შემოსავლების დანაწილება, საერთაშორისო ვაჭრობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: მაკროეკონომიკა, მათემატიკა ეკონომისტებისათვის, ეკონომიკური აზრის ისტორია.

კურსის კოდი SEB0250

მაკროეკონომიკა

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ეროვნული ეკონომიკა, ეკონომიკური ციკლები, ეკონომიკური პოლიტიკა, უმუშევრობა და ინფლაცია, დასაქმების კენსური და კლასიკური თეორიები, შემოსავლების, მოხმარებისა და დაზოგვის დამოკიდებულება, ინფლაცია და უმუშევრობა, მთლიანი შიდა პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი, ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება, ფისკალური პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არსი, მიწოდების ეკონომიკა, ეკონომიკური ზრდა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორია, მათემატიკა ეკონომისტებისათვის.

კურსის კოდი -SEB0760

საქართველოს ეკონომიკა (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საქართველოს ეკონომიკის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგადი დახასიათება; საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურა; საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი; სამრეწველო კომპლექსი, სოფლის მეურნეობა და აგროსამრეწველო კომპლექსი; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა; სამშენებლო კომპლექსი; ეკონომიკური საქმიანობის არამატერიალური სფერო; საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები და სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორია; საქართველოს ისტორია, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია.

კურსის კოდი -SEB0680

საერთაშორისო ეკონომიკა (I ნაწილი) (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მსოფლიო მეურნეობრივი პროცესების განვითარების ზოგად კანონზომიერებები, კერძოდ: შრომის დანაწილებისა და გაცვლის თეორიებად შრომის საერთაშორისო დანაწილების განვითარების ტენდენციები; მსოფლიო ბაზრის სტრუქტურა და ცვლილებები საერთაშორისო ვაჭრობაში; კონკურენცია მსოფლიო ბაზარზე; ფასწარმოქმნა მსოფლიო ბაზარზე; მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა; საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო პოლიტიკა; მსოფლიო ვაჭრობის საერთაშორისო რეგულირება; შრომითი რესურსების საერთაშორისო მოძრაობა; კაპიტალის მსოფლიო ბაზარი – იმპორტი და ექსპორტი; ტრანსნაციონალური კორპორაციები და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის სახელმწიფო რეგულირება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორია, ეკონომიკური აზრის ისტორია; სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია; მაკროეკონომიკა.

კურსის კოდი -SEB0690

საერთაშორისო ეკონომიკა (II ნაწილი) (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციისა და საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის კანონზომიერებები, კერძოდ: მსიფლიო მეურნეობის ინტეგრაციის თეორიული საფუძვლები; დასავლეთეფროპული ინტეგრაციის თავისებურებები - ევროკავშირი; მსოფლიო ინტეგრაციული კავშირები; თავისუფალი ეკონომიკური ზონები; საგადაამხდელო ბალანსი; საერთაშორისო სავალუტო სისტემა და მისი ფუნქციონირება; საგარეო ვაჭრობის დაკრედიტება და საერთაშორისო ანგარიშსწორების ორგანიზაციის ფორმები; საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის დაზღვევა რისკებისაგან; ლიზინგი; ფაქტორინგი; შემხვედრი ვაჭრობა; საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის თანამედროვე პრობლემები და საქართველოს ადგილი მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორია, ეკონომიკური აზრის ისტორია; სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია; მაკროეკონომიკა.

კურსის კოდი: SEB0050

ბიზნესის საფუძვლები (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ბიზნესის ადმინისტრირების მეთოდოლოგიური პრობლემები: ბიზნესის არსი და მნიშვნელობა; ბიზნესის ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმები; ბიზნესის დაგეგმვა; ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფა; საერთაშორისო ბიზნესის საფუძვლები; ბიზნესის ადმინისტრირების პრაქტიკული პრობლემები: ბიზნესის მართვა; ბიზნესის ორგანიზაციული სტრუქტურა; საგადასახადო სისტემის როლი ბიზნესში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მათემატიკა ეკონომისტებისათვის; ეკონომიკური თეორია: სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია.

კურსის კოდი -SEB0060

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ბუღალტრული აღრიცხვის არსი და ადგილი მართვის სისტემაში, ბუღალტრული აღრიცხვის საგანი და მეთოდი, ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირება, ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები და ძირითადი დამუშავება, დოკუმენტაცია და ინვენტარიზაცია, ბალანსი და ბალანსის პრინციპები, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშები და ორმაგი ჩაწერა, ბუღალტრული აღრიცხვის ფორმები და რეგისტრები, ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცედურები, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების დახასიათება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორია.

კურსის კოდი -SEB0940

ფული კრედიტი და ბანკები (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფულის წარმოშობა, არსი, ფუნქციები და როლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში; ფულის სახეები (საკრედიტო ფული – აქციები, ობლიგაციები); ფულის მიმოქცევის არსი და სახეები; მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობის განსაზღვრა; ფულის მასა და ფულის მიმოქცევის სიჩქარე; ფულის მასა და მისი შეფასების მეთოდები; ფულადი სისტემის ელემენტები და ტიპები; საქართველოს ფულადი სისტემა; ვალუტა და სავალუტო სისტემა; ფულის რეფორმა და მისი ძირითადი ფორმები; კრედიტის აუცილებლობა, ფუნქციები, ფორმები და როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში; საკრედიტო სისტემის არსი და საფუძვლები; ცენტრალური ბანკის ფუნქციები და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა; საქართველოს ეროვნული ბანკი და მისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა;

კომერციული ბანკების ფუნქციები და ოპერაციები; საქართველოს საბანკო სისტემა; სპეციალური საბანკო და არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორია.

კურსის კოდი -SEB0470

მენეჯმენტის საფუძვლები (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მენეჯმენტის მეცნიერული თეორიები; პრაქტიკული მართვის გენეზისი; მართვის პრინციპები და მეთოდები; სამეურნეო ხელმძღვანელის საქმიანი თვისებები; მენეჯმენტის განვითარების საზღვარგარეთულ გამოცდილება; ორგანიზაციის არსი და ამოცანები; მართვის ფუნქციები და მის კლასიფიკაცია; მმართველობითი გადაწყვეტილებანი; შიდასაწარმოო საქმიანი ურთიერთობების მენეჯმენტი, საწარმოო მენეჯმენტის საფუძვლები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ეკონომიკური თეორია; ბიზნესის საფუძვლები;

კურსის კოდი -SEB0880

ფინანსების საფუძვლები (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფინანსების არსი, ფუნქციები და განვითარების თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე; ფინანსური სისტემა; ფინანსური ბაზარი; ფინანსური პოლიტიკა; ფინანსური მექანიზმი; ფინანსების დაგეგმვა და მართვა; სახელმწიფო შემოსავლები და ხარჯები; სახელმწიფო ბიუჯეტი და საბიუჯეტო სისტემა; ადგილობრივი ფინანსები; კორპორაციათა ფინანსური ურთიერთობები და ფინანსური რესურსები; საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობები; დაზღვევა; ფინანსური კონტროლი;

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორია; ეკონომიკური აზრის ისტორია; ფული, კრედიტი, ბანკები.

კურსის კოდი -SEB0900

ფინანსური აღრიცხვა (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფულადი სახსრების აღრიცხვა, მოთხოვნების აღრიცხვა, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა, იჯარის ბუღალტრული აღრიცხვა, ინვესტიციების ბუღალტრული აღრიცხვა, ვალდებულებების აღრიცხვა, საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა, შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცედურები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები.

კურსის კოდი -SEB0810

სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 1 (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სტატისტიკის შესწავლის ობიექტი, საგანი და მეთოდი;

სტატისტიკური დაკვირვება; სტატისტიკური მასალის თავმოყრა და დაჯგუფება; სტატისტიკურ მონაცემთა გრაფიკული გამოსახვის ხერხები; აბსოლიტური და შეფარდებითი სიდიდეები; ვარიაციის მაჩვენებლების გამოყენება ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზში; სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის შესწავლის სტატისტიკური ხერხები; დინამიკური მწკრივების საანალიზო მაჩვენებლები; საინდექსო მეთოდის გამოყენება ეკონომიკურ-სტატისტიკურ ანალიზში; შერჩევითი დაკვირვების მეთოდის გამოყენება სოციალურ-ეკონომიკურ ანალიზში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორია, ალბათობის თეორია.

კურსის კოდი -SEB0820

სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 2 (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მოსახლეობის დინამიკისა და შესწავლის სტატისტიკური მეთოდები; შრომის ბაზრისა და შრომითი რესურსების სტატისტიკა; მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკა; მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკა; პროდუქციის თვითღირებულების სტატისტიკა; ფასებისა და ინფლაციის სტატისტიკა; სამეურნეო საქმიანობის ფინანსური შედეგების სტატისტიკა; ეროვნულ ანგარიშთა სისტემა - სტატისტიკური ინფორმაციის ძირითადი წყარო.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 1; მაკროეკონომიკა და მიკროეკონომიკა.

კურსის კოდი -SEB0010

ადამიანური რესურსების მენეჯმენტი (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ადამიანური რესურსების მენეჯმენტის არსი, ამოცანები და მეთოდოლოგიური საფუძვლები, ადამიანური რესურსების ქცევა ორგანიზაციაში, ადამიანური რესურსების მართვის პროცესი, ადამიანური რესურსებზე მოთხოვნის დაგეგმვა და პროგნოზირება, ადამიანური რესურსების მოზიდვა და შერჩევა, ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნება, ორგანიზაციული კულტურა, წახალისების მართვა, ადამიანური რესურსების განვითარება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ეკონომიკური თეორია: ბიზნესი საფუძვლები; მენეჯმენტის საფუძვლები.

კურსის კოდი -SEB0260

მარკეტინგი (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მარკეტინგის საგანი და თანამედროვე კონცეფციები; სტრატეგიული მარკეტინგი; მარკეტინგული გარემო; მარკეტინგული კვლევები; მყიდველთა ქცევა სამომხმარებლო ბაზარზე; მომხმარებელთა ქცევა საწარმოთა ბაზარზე; ბაზრის სეგმენტაცია, მიზნობრივი ბაზრის შერჩევა და საქონლის პოზიციონირება; კონკურენციის მარკეტინგული სტრატეგიები; საქონელი და სასაქონლო პოლიტიკა მარკეტინგში; ახალი საქონელი მარკეტინგში; ფასები და ფასწარმოქმნის სტრატეგია მარკეტინგში; ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები; რეკლამა, გასაღების სტიმულირება, სპონსორობა და საზოგადოებასთან ურთიერთობები; პერსონალური გაყიდვები და პირდაპირი მარკეტინგი; მარკეტინგული არხები და ლოგისტიკა; საცალო და საბითუმო ვაჭრობა; ინტერნეტ – მარკეტინგი; მარკეტინგი მომსახურებისა და არაკომერციული საქმიანობის სფეროებში; საერთაშორისო მარკეტინგი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: თეორიული ეკონომიკა და უმაღლესი მათემატიკა.

კურსის კოდი - SEB0560

მმართველობითი აღრიცხვა (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მმართველობითი აღრიცხვის მეთოდი, პრინციპები, ფუნქციები, დანახარჯები და შემოსავლები, მარჟინალური შემოსავლებისა და დაფარვის განაკვეთის აღრიცხვა, ფასწარმოქმნა, ტრანსფერტული ფასების ფორმირება; საწარმოს საინვესტიციო საქმიანობა, საწარმოს ხარჯების აღრიცხვა დანახარჯების ადგილისა და პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით, დანახარჯების აღრიცხვა და განაწილება საკალკულაციო ობიექტების მიხედვით; ბიზნეს დაგეგმვა და ბიუჯეტირება, მმართველობითი ანგარიშგების საფუძვლები; ხარჯების, გაყიდვის მოცულობისა და მოგების თანაფარდობის ანალიზი; შიდამეურნეობრივი მმართველობითი კონტროლის სისტემა.

კურსის შესწავლის წინა პირობაა შემდეგი კურსების ათვისება: სტატისტიკის ზოგადი თეორია, საბუღალტრო საქმის საფუძვლები.

კურსის კოდი -SEB0750

სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ეკონომიკური ანალიზის მეცნიერული საფუძვლები, შინაარსი და საგანი; ეკონომიკური ანალიზის სისტემა და ანალიზის ორგანიზაცია; საწარმოო-საფინანსო ძირითადი საქმიანობის ანალიზის მეთოდოლოგია; საწარმოო სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეფასება და წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის ანალიზი; შრომისა და შრომითი რესურსების გამოყენების ანალიზი; მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და შრომის საგნების გამოყენების ანალიზი; პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ანალიზი; თვითღირებულების ანალიზი; მოგებისა და რენტაბელობის ანალიზი; ფინანსური მდგომარეობის ანალიზი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური სტატისტიკა; საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები.

კურსის კოდი -SEB0230

კორპორაციათა ფინანსები (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კორპორაციათა ფინანსების ორგანიზაციის საფუძვლები; პროდუქციის წარმოებაზე საწარმოს დანახარჯები და მისი რეალიზაციიდან ამონაგები; კორპორაციათა მოგება; ძირითადი ფონდები და არასაბრუნავი აქტივები, მათი ფორმირებისა და კვლავწარმოების დაფინანსების წყაროები; კორპორაციათა საბრუნავი საშუალებები, მათი დანიშნულება და ფორმირების წყაროები; სხვადასხვა ორგანიზაციულ -სამართლებრივი ფორმით ფუნქციონირებად საწარმოთა და მათ გაერთიანებათა ფინანსების თავისებურებანი; სააქციო საზოგადოების ფინანსები; კორპორაციაში ფინანსური მუშაობის ორგანიზაცია; ფინანსური მენეჯმენტის არსი და მნიშვნელობა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორია; მიკროეკონომიკა; ფინანსების საფუძვლები

კურსის კოდი -SEB0200

ინვესტირების საფუძვლები (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ინვესტიციების შინაარსი და საინვესტიციო საქმიანობა; ინვესტიციები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში; საინვესტიციო პოლიტიკა; ინვესტიციური პროცესი; ინვესტირების წყაროები; ინვესტიციური რესურსების განთავსება; ინვესტიციური გარემო; ბიზნეს გეგმის როლი ინვესტიციური პროექტების შეფასებაში; ახალი მოვლენები ინვესტირებაში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორია; ფული, კრედიტი, ბანკები; ფინანსების საფუძვლები.

კურსის კოდი -SEB0930

ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფისკალური და მონეტარული სტატისტიკის შესწავლის ობიექტი, საგანი და მეთოდი; ფისკალური და მონეტარული სტატისტიკის შესწავლის ამოცანები; სასესხო ოპერაციების (მარტივი და რთული პროცენტებით) ეფექტიანობის სტატისტიკური შეფასება; სახელმწიფო ბიუჯეტის სტატისტიკა; ნაღდი და უნაღდო ფულადი მიმოქცევის სტატისტიკა; კრედიტის სტატისტიკა; საშემნახველო საქმის სტატისტიკა; საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების სტატისტიკური დახასიათება, დაზღვევის სტატისტიკური შესწავლა და ა.შ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორია; მაკროეკონომიკა; ფული, კრედიტი, ბანკები; ფინანსების საფუძვლები.

კურსის კოდი -SEB0830

სტრატეგიული მენეჯმენტი (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სტრატეგიული მენეჯმენტის არსი და საგანი, სტრატეგიული მენეჯმენტის სისტემის სტრუქტურის ფორმირება, სტრატეგიული მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავება, მმართველობითი გადაწყვეტილებების პროგნოზირების საკითხები, მმართველობითი გადაწყვეტილებების ეკონომიკური დასაბუთება, ფირმის ორგანიზაციულ-ტექნიკური განვითარების სტრატეგია, სამეცნიერო და სისტემური მიდგომები სტრატეგიული მენეჯმენტში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ეკონომიკური თეორია; სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია; მენეჯმენტის საფუძვლები.

სპეციალიზაცია: ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე

კურსის კოდი -SEB0771

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები, ბიუჯეტის შედგენა, განხილვა, დამტკიცება; საბიუჯეტო აღრიცხვის საფუძვლები; ხარჯთნუსხის შედგენა საბიუჯეტო დაწესებულებებში, ბიუჯეტის კონტროლი. რეგიონალური ბიუჯეტები. განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტების სტრუქტურა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ეკონომიკური თეორია და ფინანსების ზოგადი თეორია.

კურსის კოდი -SEB0661

საგადასახადო და საბაჟო-სატარიფო პოლიტიკა (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გადასახადები - სახელმწიფოს შემოსავლის ძირითადი წყარო, გადასახადების წარმოშობა; საქართველოს საგადასახადო პოლიტიკასა და სისტემის თავისებურებები, გადასახადის ძირითადი სახეები, განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემა დაბეგვრის ორგანიზაციულ, მეთოდური და სამართლებრივი საკითხები. საქართველოში საბაჟო სისტემის შექმნის, საბაჟო ოპერაციების ტექნოლოგიებს ექსპორტ იმპორტის ეკონომიკურ თავისებურებებს, საბაჟო ოპერაციების ჩატარების ტექნოლოგიურ ნიუანსებს, საბაჟო გადასახადების გაანგარიშებებს, საბაჟო დაბეგვრის ობიექტებს, საბაჟო კანონმდებლობას, საბაჟო საქმის ფინანსურ ორგანიზაციასა და ანგარიშგებას. სახელმწიფოების ეკონომიკური საზღვრების დაცვის თავისებურებებს სპეციფიკური ტვირთების გაფორმების თავისებურებებს.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ეკონომიკური თეორია და ფინანსების ზოგადი თეორია.

კურსის კოდი -SEB0671

სადაზღვევო საქმე (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: დაზღვევა, როგორც ეკონომიკური კატეგორია. დაზღვევის არსი, ფუნქციები და სპეციფიკური ნიშნები. დაზღვევის აუცილებლობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. სადაზღვევო ურთიერთობანი. მზღვეველის ფინანსური უზრუნველყოფა. სადაზღვევო პროდუქტები და ტარიფები. სადაზღვევო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება. თანადაზღვევა და გადაზღვევა. დაზღვევის მიკრო და მაკროეკონომიკური მნიშვნელობა. სადაზღვევო მენეჯმენტი. სადაზღვევო მარკეტინგი. აქტუარის როლი სადაზღვევო სისტემის განვითარებაში. სადაზღვევო რისკების მართვა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ეკონომიკური თეორია და ფინანსების ზოგადი თეორია.

კურსის კოდი -SEB0721

საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო, საკრედიტო ურთიერთობები (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საერთაშორისო სავალუტო საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობათა არსი;სსსუ როლი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში; სავალუტო სისტემათა განვითარების კანონზომიერებანი; ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის კოორდინაციის აუცილებლობა; საერთაშორისო საბალუტო სისტემის განვითარების ეტაპები; საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ორგანიზაციები; საერთაშორისო სავალუტო და ფინანსურ ურთიერთობათა ეკონომიკური თეორიები; სსფ საკრედიტო ურთიერთობები მის წევრ- ქვეყნებთან; საერთაშორისო ანგარიშსწორება; საგადასახდელი ბალანსი; განვითარებადი ქვეყნების ფულად-საკრედიტო სისტემის ტრანსფორმაციის პრობლემები; საქართველოს სავალუტო და საკრედიტო პრობლემები და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი მათი გადაწყვეტის საქმეში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ეკონომიკური თეორია; ფული, კრედიტი,ფინანსები; ფინანსების საფუძვლები.

კურსის კოდი -SEB0911

ფინანსური ბაზრები და ფინანსური ინსტრუმენტები (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფინანსური ბაზრების არსი და ფუნქციები; ფინანსური ბაზრების კლასიფიკაცია; კაპიტალის ბაზარი; ფულადი ბაზარი; ფინანსური ინსტიტუტები და ფინანსური ინსტრუმენტები; ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო ღირებულება და საბაზრო ფასი; ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია; მზარდი ბაზრები გლობალურ ფინანსურ ურთიერთობათა სისტემაში; ფინანსური ბაზრების ეფექტურობა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორია; ფული, კრედიტი, ბანკები; ფინანსების საფუძვლები.

კურსის კოდი -SEB0631

საბანკო საქმე 1 (5)

კურსის მოკლე აღწერილობა – საბანკო სისტემა და მისი საფეხურები; საბანკო სამიანობის რეგულირება; კომერციული ბანკების შექმნა რეორგანიზაცია, სანაცია და ლიკვიდაცია; საბანკო კონკურენცია; კომერციული ბანკების საქმიანობის პრინციპები; კომერციული ბანკების რესურსები; კომერციული ბანკების შემოსავლები, ხარჯები და მოგება; კომერციული ბანკების ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა; კომერციული ბანკების მდგრადობა და უსაფრთხოება; საბანკო რისკები; საქართველოს საბანკო სისტემა და მისი განვითარების ტენდეციები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორია; ფული, კრედიტი და ბანკები.

კურსის კოდი -SEB0641

საბანკო საქმე 2 (5)

კურსის მოკლე აღწერილობა -- საბანკო მენეჯმენტი; საბანკო მარკეტინგი; საბანკო საიდუმლოება; საბანკო მომსახურების განყოფილებები: საოპერაციო განყოფილება - ოპერაციების სახეები; სადეპოზიტო განყოფილება; საკრედიტო განყოფილება; თანამედროვე ინოვაციური პროდუქტების გაყიდვების განყოფილება; ბანკის ფინანსური ალიზი;საქართველოს საბანკო სისტემის მდგომარეობა იმ დროისთვის.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: საბანკო საქმის 1 ნაწილი.

კურსის კოდი -SEB0921

ფინანსური მენეჯმენტი (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფინანსური მენეჯმენტის არსი და მნიშვნელობა; საწარმოს (ფირმის) ფინანსური რესურსები;ფინანსური გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები; ფინანსური მართვის პროცესი; ფირმის შიდა საქმიანობის დაგეგმვა; მოგების მაქსიმიზაცია,

ფირმის ფინანსურ -სამეურნეო საქმიანობის ანალიზი; საქარმოს (ფირმის) ფინანსების მოკლევადიანი გადაწყვეტილებები; საწარმოთა (ფირმის) საქმიანობა სასესხო კაპიტალის ბაზარზე; საწარმოს საქმიანობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე; საწქრმოს (ფირმის) საგარეო - ეკონომიკური საქმიანობა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ფინანსების საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები; კორპორაციათა ფინანსები.

კურსის კოდი SEB0610

პროფესიული პრაქტიკა

სპეციალიზაცია: საბუღალტრო და საგადასახადო საქმე

კურსის კოდი -SEB0071

გადასახადები (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გადასახადები, როგრც სახელმწიფოს შემოსვლის ძირითადი წყარო, გადასახადების წარმოშობა, გადასახადების აუცილებლობა. საქართველოს საგადასახადო პოლიტიკასა და სისტემის თავისებურებები, გადასახადის ძირითადი სახეები, საგადასახადო კოდექსი, განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემა დაბეგვრის ორგანიზაციულ, მეთოდური და სამართლებრივი საკითხები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორია, ფინანსების საფუძვლები.

კურსის კოდი -SEB0731

საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გადასახადები და საგადასახადო სისტემა. აშშ-ის საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა; ინგლისის საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა; გერმანიის საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა; იტალიის საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა; საფრანგეთის საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა; იაპონიის საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა; რუსეთის საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა; კანადის საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა; ჩინეთის საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა;

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორია, საგადასახადო და საბაჟო-სატარიფო პოლიტიკა, ფინანსების ზოგადი თეორია.

კურსის კოდი - SEB0081

გადასახადების აღრიცხვა (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საქართველოს საგადასახადო სისტემის ზოგადი დახასიათება; მიმდინარე გადასახადების გადახდის წესი; მოთხოვნების აღრიცხვის საგადასახადო თავისებურებები; სასაქონლო მატერიალური ფასეულობების , უიმედო ვალების გამოქვითვის, გრძელვადიანი ინვესტიციების, სავალუტო ოპერაციების აღრიცხვის საგადასახადო თავისებურებები; მოგების გადასახადის აღრიცხვის საგადასახადო თავისებურებები; ხარჯების და შემოსავლების გამოქვითვის საგადასახადო პრინციპები; საშემოსავლო გადასახადის, დამატებული ღირებულების გადასახადის, აქციონის აღრიცხვის საგადასახადო თავისებურებები; ქონების გადასახადის საგადასახადო აღრიცხვის წესი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: გადასახადები

კურსის კოდი - SEB0891

ფინანსური ანალიზი (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფინანსური ანგარიშგების არსი; სახეები და ანალიზური მნიშვნელობა; ფინანსური ანალიზის საგანი და მეთოდი; მიმდინარე, გრძელვადიანი აქტივების და საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზი; მიმდინარე გრძელვადიანი ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის ანალიზი; საწარმოს გადახდისუნარიანობის, ფინანსური სტაბილურობის და საწარმოს საქმიანი აქტიურობის ანალიზი, მოგების, მომგებიანობის და ინვესტიციების ანალიზი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები; ფინანსების საფუძვლები.

კურსის კოდი - SEB0181

ზოგადი აუდიტი (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საქართველოს რესპუბლიკის კანონი აუდიტორული საქმიანობის შესახებ; აუდიტორის პროფესიის როლი განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის პირობებში; აუდიტის სტანდარტები და აუდიტორული ფირმების მუშაობის ორგანიზაცია; აუდიტორული შემოწმებების პროცედურები და მათი ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები; აუდიტორული მტკიცებები და მათი მიღების მეთოდები; აუდიტორთა საქმიანობა საწარმოს სამეურნეო საფინანსო საქმიანობის ეკონომიკური ექსპერტიზის მიმართულებით; ფინანსური შედეგების ასახვის სისწორის შემოწმება; აუდიტის დასრულება და აუდიტორული ანგარიშების მომზადება; აუდიტის ჩატარების ხარისხის კონტროლი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკური თეორია; ბუღალტრული აღრიცხვის თეორია.

კურსის კოდი -SEB0221

ფინანსური ანგარიშგება (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციები, ფინანსური ანგარიშგება ჰიპერინფლაციური ეკონომიკის პირობებში, ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებებსა და წარდგენას, შუალედური ანგარიშგების წარდგენას, შეწყვეტილი ოპერაციების ასახვას, კონსოლიდაციის სპეციალური დანიშნულების ეკონომიკურ სუბიექტებში, ფასების ცვლილებებით გამოწვეული შედეგების ამსახველი ინფორმაციის დამუშავებას, ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მოვლენების ასახვას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ბუღალტრული აღრიცხვის თეორია, ფინანსური აღრიცხვა.

კურსის კოდი -SEB0031

აღრიცხვა ბანკებში (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: აღრიცხვის ორგანიზაცია საბანკო სისტემაში, საბანკო ოპერაციების პირველადი დოკუმენტაცია, საბუთების სახეები და საბანკო კონტროლის სისტემა, საბანკო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის გადასვლა საერთაშორისო სტანდარტებზე და ანგარიშთა გეგმის დახასიათება, ანგარიშსწორების ორგანიზაცია, ბანკებსა და მის ფილიალებს შორის და მათი აღრიცხვა, ანგარიშსწორების არატრადიციული ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა, საერთაშორისო ანგარიშსწორების ორგანიზაცია და მისი აღრიცხვა, შიდასაბანკო ოპერაციები და მათი აღრიცხვა, ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგების გაანგარიშება და მათი აღრიცხვა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები; ფული, კრედიტი, ბანკები.

კურსის კოდი -SEB0651

საბიუჯეტო აღრიცხვა (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციაში ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია, არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და მათი აღრიცხვა, ფინანსური აქტივები, ვალდებულებები, მათი კლასიფიკაცია და აღრიცხვა, შემოსავლები და მათი აღრიცხვა, ხარჯების სტრუქტურა და მათი აღრიცხვა, კაპიტალის აღრიცხვა, ორგანიზაციის ბალანსი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები; ფინანსების საფუძვლები.

სპეციალიზაცია: მენეჯმენტი

კურსის კოდი -SEB0481

მეწარმეობა (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მეწარმეობის არსი და ფორმები; მეწარმეობის ტიპოლოგია; სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პირობები; სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტები და ობიექტები; მეწარმეობრივი იდეა და ბიზნეს-გეგმა; მეწარმეობის ეთიკა და კულტურა; სამეწარმეო საიდუმლოება; სამეწარმეო წარმატება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ეკონომიკური თეორია; მენეჯმენტის საფუძვლები; ბიზნესის საფუძვლები.

კურსის კოდი -SEB0781

საწარმოს ეკონომიკა (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საწარმოს ძირითადი კაპიტალი; საწარმოს საბრუნავი საშუალებები; მოთხოვნილება კაპიტალზე; საწარმოს დანახარჯები; პროდუქციის წარმოებისა და გასაღების ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრა; საწარმოო მარაგების მართვა და სერიული წარმოება; წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება და ფასი; მოგების ანგარიში და საწარმოს რენტაბელობის განსაზღვრა; ინვესტიციების ეფექტიანობის ანგარიში; საწარმოს დაფინანსება; შიდასაფირმო დაგეგმვა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მენეჯმენტის საფუძვლები; ბიზნესის საფუძვლები; მეწარმეობა.

კურსის კოდი -SEB0961

შრომის ეკონომიკა (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: შრომის სფეროში დამკვიდრებული ძირითადი ცნებები და რეალური პროცესები, განხილულია შრომის არსი და მისი პროცესი, შრომის ნორმირების მეთოდები, შრომის ორგანიზაციის საფუძვლები, კადრები და მათი რაოდენობის დაგეგმვა, შრომის ეფექტიანობის შეფასების მეთოდიკა, ტექნიკურად დასაბუთებული დროის ნორმების დადგენის გზები და მეთოდები, შრომის ნაყოფიერების ზრდის მნიშვნელობა და მისი ამაღლების ფაქტორები, სამუშაო დროის დანაკარგების შესწავლა, შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების ქმედითი მექანიზმის შექმნა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მენეჯმენტის საფუძვლები; ბიზნესის საფუძვლები; ადამიანური რესურსების მენეჯმენტი; საწარმოს ეკონომიკა.

კურსის კოდი -SEB0581

ორგანიზაციის თეორია (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ორგანიზაციული სისტემები, ორგანიზაციის ფუნქციონალური შინაარსი, კომუნიკაციები ორგანიზაციებში, წინააღმდეგობების მართვა, სინერჯის კანონი, სოციალური ორგანიზაციები, სამეურნეო ორგანიზაციები, ორგანიზაციის მართვის სისტემები, ორგანიზაციის ფუძემდებლური კანონები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მათემატიკა ეკონომისტებისათვის: ეკონომიკური თეორია; ბიზნესის საფუძვლები; საწარმოს ეკონომიკა.

კურსის კოდი -SEB0211

ინოვაციური მენეჯმენტი (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ინოვაციური მენეჯმენტის არსი და ამოცანები; მენეჯერის როლი ინოვაციური პროექტის შეფასებაში; ინოვაციები, როგორც საწარმოთა წარმატების უმთავრესი ფაქტორი; საინოვაციო სტრუქტურის ფორმირება; ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ინოვაციები; ინოვაციების მართვა ინვესტიციებში საინვესტიციო წინადადებების ბანკის შექმნა; ინვესტიციური მენეჯმენტის ეფექტური გადამწყვეტი ფაქტორები; ინოვაციების მართვა საბანკო საქმიანობაში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მენეჯმენტის საფუძვლები; ადამიანური რესურსების მენეჯმენტი; საწარმოს ეკონომიკა.

კურსის კოდი -SEB0951

ფუნქციონალური მენეჯმენტი (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფუნქციონალური მენეჯმენტის არსი და ამოცანები, მართვის ფუნქციები, მენეჯმენტის ძირითადი და ორგანიზაციის მართვის კონკრეტული ფუნქციების კლასიფიკაცია, უფლებამოსილებათა დელეგირება და მისი მნიშვნელობა მართვის ეკონომიურობის მიღწევის საქმეში, საწარმოს ძირითადი მიზნების: მოგების მაქსიმიზაციის, პროდუქციის მაქსიმალური გამოშვების, მაღალი რენტაბელობის მიღწევის საქმეში, საკუთარი და ნასესხი კაპიტალის ეფექტური გამოყენების მიღწევა და სათანადო მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მენეჯმენტის საფუძვლები; ადამიანური რესურსების მენეჯმენტი; საწარმოს ეკონომიკა.

კურსის კოდი -SEB0021

ადმინისტრაციულ-მმართველობითი სისტემები (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მოთხოვნები ადმინისტრაციულ-მმართველობითი გადაწყვეტილების ხარისხისადმი, ეკონომიკური კანონების და მეცნიერული მიდგომების როლი გადაწყვეტილების ეფექტურობის და ხარისხის ამაღლებაში, ადმინისტრაციულ-მმართველობითი გადაწყვეტილებების ანალიზის მეთოდები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ორგანიზაციის თეორია; ეკონომიკური თეორია; ბიზნესის საფუძვლები; მეწარმეობა.

კურსის კოდი -SEB0601

პროექტების მენეჯმენტი (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პროექტების მენეჯმენტის ძირითადი არსი და ამოცანები, პროექტის სუბიექტები და მისი განხორციელების სხვა მონაწილეები, პროექტის შემუშავების ორგანიზაცია, მისი მომზადების ეკონომიკა და შემუშავების ეტაპები, ქსელური დაგეგმვისა და მართვის საკითხები, საპროექტო იდეათა კლასიფიცირება, ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება, ინფლაციის გავლენა პროექტის ეკონომიკურ დასაბუთებაში, პროექტის განხორციელებაში შექმნილი სამეწარმეო გარემოს შეფასება და სათანადო მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგია.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მენეჯმენტის საფუძვლები; შრომითი რესურსების მენეჯმენტი; საწარმოს ეკონომიკა; მეწარმეობა.

კურსის კოდი -SEB0711

საერთაშორისო მარკეტინგი (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საერთაშორისო მარკეტინგის არსი; საერთაშორისო ფირმების ტიპოლოგია; ფირმის ინტერნაციონალიზაციის პროცესი; საერთაშორისო კონკურენცია; საერთაშორისო მარკეტინგის გარემო; საერთაშორისო მარკეტინგული გამოკვლევები; საერთაშორისო ბაზრის სეგმენტაცია და შერჩევა; საგარეო ბაზარზე გსვლის ფორმები; საქონელი და სასაქონლო პოლიტიკა საერთაშორისო ვაჭრობაში; ფასები და ფასწარმოქმნის პოლიტიკა საერთაშორისო ვაჭრობაში; საერთაშორისო კომუნიკაციური პოლიტიკა; საერთაშორისო დისტრიბუციული პოლიტიკა; საერთაშორისო მარკეტინგის მართვა: დაგეგმვა, ორგანიზაცია, დანერგვა და კონტროლი; მარკეტინგული სტრატეგიის რეალიზაცია საერთაშორისო ბიზნესში.
კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მარკეტინგი

კურსის კოდი -SEB0341

მარკეტინგის მართვა (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მარკეტინგ - მენეჯმენტის კურსის შესწავლის საგანი; ბაზრის დაპყრობაზე ორიენტირებული სტრატეგიული დაგეგმვა; მარკეტინგულ შესაძლებლობათა ანალიზი; დარგისა და კონკურენტების ანალიზი; მომხმარებელთა შესწავლა, როგორც მარკეტინგულ შესაძლებლობათა ანალიზის მნიშვნელოვანი ასპექტი; მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება საქონლის სასიცოცხლო ციკლის შესაბამისად; მარკეტინგული პროგრამების შემუშავება; საქონლის განაწილების არხების შერჩევა და მართვა; მარკეტინგული კომუნიკაციების კომპლექსის მართვა; მარკეტინგის ორგანიზაცია და გადაწყვეტილებათა შესრულება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ეკონომიკური თეორია, მარკეტინგის საფუძვლები, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის.

კურსის კოდი -SEB0351

მარკეტინგული კვლევები 1 (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მარკეტინგული კვლევების როლი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში; მარკეტინგული კვლევის პროცესი; მარკეტინგული კვლევის ამოცანის დასმა; მარკეტინგული კვლევის გეგმა; მონაცემების შეგროვების მეთოდები;

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მარკეტინგის საფუძვლები, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა; სტატისტიკა; კომპიუტერულ ტექნოლოგიები.

კურსის კოდი -SEB0980

მარკეტინგული კვლევები 2 (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ინფორმაციის შეგროვების ფორმების განსაზღვრა; შერჩევა და მონაცემების შეგროვების ორგანიზაცია; ანალიზისთვის მონაცემების მომზადება; მონაცემების ანალიზი; მარკეტინგული კვლევის შედეგების წარდგენა; მარკეტინგული კვლევების გამოყენებითი ასპექტები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მარკეტინგული კვლევები 1

კურსის კოდი -SEB0571

მომსახურების მარკეტინგი (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მომსახურების მარკეტინგის თავისებურებანი; მომსახურების მარკეტინგის თავისებურებანი; კონტრაქტების მართვა მომსახურების პროცესში; მომხმარებელთა ქცევა მომსახურების ბაზარზე; მიზნობრივი აუდიტორია, ურთიერთობათა

მენეჯმენტი და მუდმივი კლიენტურის ფორმირება; მომხმარებელთა საჩივრების დამუშავება და მომსახურების პროცესის სრულყოფა; მომსახურების პოზიციონირება; მომსახურების პროდუქტის შექმნა; ფასწარმოქმნის სტრატეგიები მომსახურების სფეროში; მომხმარებელთა ინფორმირება და მოსახურების წინსვლა; მომსახურების სისტემის ფორმირება ადგილის, სივრცისა და დროის ფაქტორების გათვალისწინებით; მომსახურების ღირებულების გაზრდა ხარისხისა და მწარმოებლურობის გაზრდის ხარჯზე; მოთხოვნა-მოწოდების დაბალანსება; რიგების მართვა და წინასწარი შეკვეთების სისტემები; მარკეტინგის მენეჯერის ამოცანები და ფუნქციები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მარკეტინგი

კურსის კოდი -SEB0091

დისტრიბუციული პოლიტიკა მარკეტინგში (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მარკეტინგული არხები: სტრუქტურა, ფუნქციები და ურთიერთკავშირი; მარკეტინგული არხების სტრუქტურა - საცალო ვაჭრობა: ძირითადი ელემენტები და სტრატეგიული პერსპექტივები; შუამავლები განაწილების არხებში; გამანაწილებელი ლოგისტიკა: სტრუქტურა და სტრატეგია; განაწილების არხების დაგეგმვა: არხის სისტემების ჩამოყალიბება; მარკეტინგული არხების ორგანიზაციის ფორმები; მარკეტინგული არხებით მართვა; მარკეტინგული არხების სტრატეგია და შესაძლო საკანონმდებლო შემოსაზღვრა; ინფორმაციული სისტემები და არხებით მართვა; მარკეტინგული არხების საქმიანობის შედეგების შეფასება; საერთაშორისო მარკეტინგული არხები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მარკეტინგი

კურსის კოდი -SEB0191

ინდუსტრიული მარკეტინგი (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სამრეწველო მარკეტინგის საფუძვლები; სამრეწველო ბაზრები და პროდუქტები; შესყიდვის ფუნქცია ორგანიზაცია დამკვეთში; ყიდვის პროცესი სამრეწველო გარემოში; ორგანიზაციულ მსყიდველობითი ქცევის მოდელირება; სამრეწველო საწარმოების მარკეტინგული გარემო; სამრეწველო ბაზრების მარკეტინგული კვლევა; მოთხოვნის ანალიზი სამრეწველო პროდუქტებზე; სამრეწველო ბაზრის სეგმენტირება; მარკეტინგული მართვა სამრეწველო პროდუქტებით; სამრეწველო საქონლის განაწილება და საქონელმომდრობა; სამრეწველო პროდუქტების მარკეტინგული კომუნიკაციები; წარმოებითი საწარმოს მარკეტინგული ქვედანაყოფების ორგანიზაცია; მარკეტინგული დაგეგმვა სამრეწველო საწარმოებში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მარკეტინგი, მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა.

კურსის კოდი -SEB0851

ტურიზმის მარკეტინგი (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ტურიზმის მარკეტინგის არსი და ძირითადი ცნებები. ტურიზმის მარკეტინგის კონცეფცია. მარკეტინგული კვლევების შინაარსი და მიმართულებანი. ტურისტული საწარმოს მარკეტინგული ინფორმაციის სისტემა. ტურისტული საწარმოს მარკეტინგული გარემოს კვლევა. ტურისტული ბაზრის კვლევები. ტურისტული მომსახურების მომხმარებელთა კვლევები. ბაზრის სეგმენტირება. მარკეტინგული სტრატეგიის ფორმირება. ტურისტული საწარმოს მარკეტინგული პროდუქტული სტრატეგია. ტურისტული საწარმოს მარკეტინგული ფასებრივი სტრატეგია. ტურისტული საწარმოს მარკეტინგული გასაღებითი სტრატეგია. ტურისტული საწარმოს მარკეტინგული კომუნიკაციური სტრატეგია. პირადი გაყიდვა მარკეტინგული კომუნიკაციების კომპლექსში. გასაღების სტიმულირება კომუნიკაციების კომპლექსში. ტურისტული რეკლამის გავრცელების საშუალებანი. გამოფენები და ბაზრობები. ტურისტული საწარმოს საფირმო სტილი. ტურისტული საწარმოს მარკეტინგის ორგანიზაცია და კონტროლი

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მარკეტინგი, მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა. სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია.

სპეციალიზაცია: **ტურიზმი**

კურსის კოდი -SEB0841

ტურიზმის ეკონომიკა (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ტურიზმის წარმოშობისა და განვითარებას ისტორიულ კრილში; ტურიზმი – ეკონომიკის დარგი; ტურისტული საქმიანობის სუბიექტები; ტურისტული საქმიანობის თავისებურებები სამეწარმეო სამიანობის სხვა სფეროებთან მიმართებაში – საქმიანობის მობილურობა, გადაადგილება, სეზონურობა და ა.შ. ტურისტული ფორმის სამეურნეო ფუნქციები; ტურისტული ფორმის მოგება და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი; ინვესტიციები ტურისტულ ბიზნესში; ტურისტული საწარმოები – სასტუმრო, რესტორანი; ტურისტული სატრანსპორტო გადაზიდვები; ტურისტული საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები; ტურისტული ბიზნესის როლი და ადგილი საქართველოს ეკონომიკაში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: სოციალური-ეკონომიკური გეოგრაფია, მიკროეკონომიკა , მაკროეკონომიკა.

კურსის კოდი -NGB0321

რუკათმცოდნეობა (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: დედამიწის გარეგანი სახე; ელიფსოიდი; გეოგრაფიული კოორდინატები; დედამიწის სფერული სახის გავლენის განსაზღვრა; მასშტაბები; მიმართულების ორიენტირება ანუ გაგნება; კუთხმზომი იარაღები; აგეგმვის ზოგადი კანონი და აგეგმვის ზოგადი მეთოდები; დედამიწის რელიეფის გამოსახვა სიბრტყეზე; საკითხები კარტომეტრიიდან; ნიველობა და მისი სახეები; რუკების საერთაშორისო ნომენკლატურა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: სოციალური-ეკონომიკური გეოგრაფია.

კურსის კოდი -NGB0351

საქართველოს გეოგრაფია (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საქართველოს მდებარეობა - გეოპოლიტიკური, სატრანსპორტო, ფიზ-გეოგრაფიული; საქართველო და კავკასია; საქართველოს გეოლოგია და წიაღისეული; რელიეფის ტიპები, რელიეფთან დაკავშირებული პრობლემები; საქართველოს კლიმატი, შიდა წყლები, ნიადაგ-მცენარეული საფარი, ლანდშაფტები; საქართველოს გეოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემები; საქართველოს ცალკეული რაიონების ფიზ-გეოგრაფიული მდებარეობა. საქართველოს ბუნებრივი პირობების და რესურსების სამეურნეო შეფასება; მოსახლეობისა და შრომითი რესურსების გეოგრაფია; მეურნეობის დარგების ზოგადი დახასიათება; საქართველოს რეგიონების ეკონომ-გეოგრაფიული დახასიათება_განვითარების პერსპექტივები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: სოციალური-ეკონომიკური გეოგრაფია.

კურსის კოდი -NGB0431

ტურიზმის საფუძვლები და საერთაშორისო ტურიზმის გეოგრაფია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ტურიზმი XX საუკუნის ფენომენი; ტურიზმის განვითარების ისტორია; ტურიზმის ძირითადი ცნებები; ტურიზმის ინდუსტრიის მთავარ სეგმენტები (ტრანსპორტირება, დაბინავება, კვება და გართობა); ტურისტული მოთხოვნები და

წინადადებები; ტურისტული ბაზრის ელემენტები; ტურისტული ორგანიზაციის სახეები – ტუროპერატორები, ტურაგენტები და ტურისტულ ფირმები. ტურიზმი, როგორც გლობალურ სოციალურ მოვლენა; ტურიზმის მსოფლიო ინდუსტრია; პოლიტიკური გეოგრაფია და ტურიზმი; თანამედროვე ტურიზმის მასშტაბები და ტიპები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: სოციალური-ეკონომიკური გეოგრაფია.

კურსის კოდი -SEB0871

ტურიზმის მენეჯმენტი (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ტურიზმი, როგორც თანამედროვე სამყაროს მრავალწახნაგოვანი მოვლენა; ტურისტული ინდუსტრია და მისი სტრუქტურა; ტურისტული პროდუქტი; ტუროპერატორისა და ტურაგენტების საქმიანობა ტურიზმის სფეროში; სასტუმრო კომპლექსი, მისი სტრუქტურა და მენეჯმენტი; საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მენეჯმენტი; ტრანსპორტის როლი ტურიზმის განვითარების საქმეში; ექსკურსიებისა და მოგზაურობების ორგანიზატორთა მუშაობა; პროგრამული ტურიზმის ორგანიზაცია და მენეჯმენტი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მენეჯმენტის საფუძვლები; ტურიზმის საფუძვლები.

კურსის კოდი -SEB0861

ტურიზმის მარკეტინგი (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ტურიზმის მარკეტინგის არსი და ძირითადი ცნებები. ტურიზმის მარკეტინგის კონცეფცია. მარკეტინგული კვლევების შინაარსი და მიმართულებანი. ტურისტული საწარმოს მარკეტინგული ინფორმაციის სისტემა. ტურისტული საწარმოს მარკეტინგული გარემოს კვლევა. ტურისტული ბაზრის კვლევები. ტურისტული მომსახურების მომხმარებელთა კვლევები. ბაზრის სეგმენტირება. მარკეტინგული სტრატეგიის ფორმირება. ტურისტული საწარმოს მარკეტინგული პროდუქტული სტრატეგია. ტურისტული საწარმოს მარკეტინგული ფასებრივი სტრატეგია. ტურისტული საწარმოს მარკეტინგული გასაღებითი სტრატეგია. ტურისტული საწარმოს მარკეტინგული კომუნიკაციური სტრატეგია. პირადი გაყიდვა მარკეტინგული კომუნიკაციების კომპლექსში. გასაღების სტიმულირება კომუნიკაციების კომპლექსში. ტურისტული რეკლამის გავრცელების საშუალებანი. გამოფენები და ბაზრობები. ტურისტული საწარმოს საფირმო სტილი. ტურისტული საწარმოს მარკეტინგის ორგანიზაცია და კონტროლი

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მარკეტინგი, მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია.

კურსის კოდი -NGB0281

მღვიმეთმცოდნეობა – სპელეოტურიზმით (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სპელეოლოგიის მიზანი, შინაარსი, მნიშვნელობა და კვლევის მეთოდები; სპელეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია, მღვიმეთა ზოგადი კლასიფიკაცია; კარსტული მღვიმეების წარმოშობა განვითარების პირობები და პროცესები; მღვიმეთა გეოლოგია; მთვიმეთა მორფოლოგია; მღვიმეთა განვითარების ფაზები; მეტეოროლოგიურ-კლიმატური რეჟიმი; ჰიდროლოგიური რეჟიმი; ფლორა და ფაუნა; ვულკანური მღვიმეები; აბრაზიული მღვიმეები; სხვადასხვა წარმოშობის მღვიმეები; რეგიონული სპელეოლოგია.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: სოციალური-ეკონომიკური გეოგრაფია.

კურსის კოდი -NGB0111

დაცული ტერიტორიები (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ბუნება და საზოგადოება; ბუნებრივი რესურსები და მათი კლასიფიკაცია; მიწის, ატმოსფეროს, წყლის რესურსების გამოყენება და დაცვა; მინერალური რესურსების გამოყენება და დაცვა; ბიოლოგიური რესურსები და დაცვა; დაცული ტერიტორიების ძირითადი ტიპები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: სოციალური-ეკონომიკური გეოგრაფია.

არჩევითი მოდულები

კურსის კოდი: SFB0481

ფილოსოფიის ისტორია: (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოსოფიის ისტორიის საგანი, მითოსი, რელიგია, ფილოსოფია, ანტიკური ხანის ფილოსოფია. შუა საუკუნეების ფილოსოფია. აღორფინების-ხანის დღილოსოფია. ახალი დროის ფილოსოფია გერმანული კლასიკური ფილოსოფია. მე-20 საუკუნის ფილოსოფია.

კურსის კოდი -SFB0711

რელიგიის ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:რელიგიის განსაზღვრების ტიპები. რელიგიის არსობრივი მახასიათებლები. რელიგიური ცნობიერების სპეციფიკა. რელიგია, როგორც აზროვნების განვითარების კულტურული ფორმა. რელიგიის წარმოშობის პირობები. ანიმიზმი, მაგია, ფეტიშიზმი, ტოტემიზმი, ტაბუს ფენომენი. მითოსი და ძველი ბერძნულ-რომაული რელიგია. მითოსიდან ლოგიკისაკენ. მინოთეისტური რელიგიების თავისებურებები. ნაციონალური რელიგიები – კონფუციანელობა, იუდაიზმი. ბუდიზმის რწმენის თავისებურებები. მაიას პრინციპი ბუდიზმში. ჰინაიანასა და მაჰაიანას ფილოსოფია. ტატხა იოგა. კრიშნას ცნობიერება. ყურანი – ისლამის ბიბლია. მუჰამადე – ისლამის ფუძემდებელი. ისლამი და საქართველო. ისლამი და XXI საუკუნე. ქრისტიანობის წარმოშობის წინამძღვრები. ქრისტე, როგორც ხორცშესხმული ღმერთი – ძე ღმერთი. სამების არსი და ფუნქციები. მათწს, იოანეს, მარკოსის და ლუკას სახარებები. პავლე მოციქულის ქვისტოლები. არაკანონიკური სახარებები. მართმადიდებლობა და კათოლიციზმი. პროტესტანტიზმის თავისებურებები. ქრისტიანული სექტები. ქრისტიანობა და საქართველო. ქრისტიანობა დღეს.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:

კურსის კოდი -SHB0091

საქართველოს ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საქართველოს ისტორიის საგანი და ამოცანები, წყაროები და ისტორიოგრაფია, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა. პირველყოფილი საზოგადოება საქართველოში, საქართველო ძველ აღმოსავლურ და ანტიკურ ხანაში, ადრეფეოდალური ხანა, განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისი საქართველოში, ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა და განმტკიცება. ფეოდალური საქართველოს დაქვეითება და დაცემის პერიოდი XIII-XVIII სს.. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და პოსტსაბჭოთა რეალობა.

კურსის შესწავლის წინაპირობა: საქართველოს ისტორიის ცოდნა საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში.

კურსის კოდი -SLB0511

სახელმწიფო და სამართლის საფუძვლები (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა და განვითარება; სახელმწიფოს თეორია; სამართლის თეორია; საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ცნება(საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლები, მოქალაქეობა, სახელმწიფო ორგანოები, სასამართლო ორგანოები); სამოქალაქო- სამართლებრივი ურთიერთობანი(ფიზიკური პირები, იურიდიული პირები); საკუთრების უფლება; სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებანი; საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი; კომერციული იურიდიული პირები; შრომის სამართლებრივი ურთიერთობანი; ადმინისტრაციული სახდელები; დანაშაულის ცნება; მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები; სასჯელი და მისი სახეები; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები; პასუხისმგებლობა ცალკეული დანაშაულისათვის.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:

კურსის კოდი -SFB0141

კულტუროლოგია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კულტუროლოგიის საგანი. კულტურის ცნების გაგება. კულტურის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. კულტურისა და ბუნების ურთიერთმიმართება. კულტურის დროულ-სივრცული ლოკალიზაცია და ურთიერთობა ღირებულებასთან. კულტურის ბუნებრივი და სოციალური დეტერმინაციის ჩარჩოები და ადამიანის მოღვაწეობა მასში. უმაღლესი ღირებულება, როგორც რელატიურისა და სუბიექტურის, ასბოლუტურისა და ობიექტურის მომენტის მატარებელი. კულტურის ტელეოლოგიური ხასიათი.. კულტურა, როგორც ადამიანის მოქმედების შედეგი. კულტურა და ბარბაროსობა. კულტურა და ცივილიზაცია. პირველყოფილი საზოგადოება, როგორც კულტურის განვითარების საწყისი ეტაპი. რელიგიისა და კულტურის, ხელოვნებისა და კულტურის, ზნეობისა და კულტურის ურთიერთობები. კულტურის შესახებ არსებული თეორიები. ნიცმეს „ბერდიაევის, ნიბურის და სხვათა თვალსაზრისები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: აქსიოლოგიის, ესთეტიკის, კულტურის ფილოსოფიის, ისტორიის პრობლემების ფლობა.

კურსის კოდი: SEB0041

ბიზნესის ეთიკა და ეკონომიკური ფსიქოლოგია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ბიზნესის ეთიკის საგანი, მიზანი, ამოცანები; ეთიკური ბიზნესი; ზნეობა-ბიზნესის საფუძველი; ეთიკის განვითარების პერიოდიზაცია; ფული, სიმდიდრე, ბიზნესი – წარმატება; წინააღმდეგობა ეთიკასა და ბიზნესს შორის; საქმიანი ურთიერთობები და ეთიკა; ეთიკური ურთიერთობანი; ბიზნესი და ეტიკეტი; „ადამიანი საგანთა სამყაროში“, სამეურნეო საქმიანობაში დმონაწილის ფსიქოლოგია; ქცევის რეგულაციის ფსიქოლოგიური კანონზომიერებები; ადამიანის საქმიანობა საზოგადოების ეკონომიკურ სფეროში; შრომითი კონფლიქტის დადებითი და

უარყოფითი შედეგები, ლიდერობა, კომუნიკაციის პროცესი, მისი დსტრუქტურა, დანიშნულება და ცალკეული ფორმები; მომუშავეს პიროვნული თვისებები, დასწავლის პროცესსა და პროფესიულ საქმიანობას შორის კავშირი, შრომის დაგეგმარების საკითხები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ფილოსოფია, ეთიკა, ეკონომიკური თეორია, მიკრო-მაკრო ეკონომიკა.

კურსის კოდი NIB0600

ინტერნეტ რესურსები(5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

გლობალური კომპიუტერული ქსელის ინტერნეტის განვითარება და ადამიანის მიერ მისი შესაძლებლობების ათვისება. ადამიანებს შორის ინფორმაციული ურთიერთქმედების ხარისხობრივი ცვლილებები ვირტუალურ გარემოში. მსოფლიო გლობალური ქსელის ინტერნეტის ფუნქციონირების პირობები, ინტერნეტში ინფორმაციის ძიების წესები და მეთოდები, ინტერნეტის განვითარების ძირითადი ტენდენციები, საძიებო სერვერები, ელექტრონული ფოსტა, ტელეკონფერენციები, ინტერნეტში სარეკლამო კომპანიის როლი და მნიშვნელობა, ინტერნეტში ბიზნეს-პროცესების წარმართვა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ინფორმაციული ტექნოლოგიები

კურსის კოდი - SEB0171

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ეროვნული ანგარიშწარმოება - სტატისტიკის საერთაშორისო საფუძველი, მისი საგანი, მეთოდი და ამოცანები; ეას-ის აგების თეორიული საფუძვლები, მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია; ეროვნული ანგარიშწარმოების ძირითადი ცნებები და კატეგორიები; ეკონომიკური საქმიანობის შედეგების მაჩვენებელთა სისტემა, მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია ეას-ში. მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა მუდმივ ფასებში გადაანგარიშების მეთოდოლოგია და ინდექს-დეფლატორია აგება; ნაერთი ეროვნული ანგარიშების სისტემა, მათი შემადგენლობა და აგების პრინციპები; შემოსავლების ნაერთი ანგარიში; საქონლისა დამომსახურების ანგარიში; კაპიტალდაბანდებათა ანგარიში; ეკონომიკის სექტორული ანგარიშები; ეას-ის მაჩვენებელთა საერთაშორისო შედარებები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მაკროეკონომიკა, მიკროეკონომიკა, სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის.

კურსის კოდი NMB0741

ფინანსური მათემატიკა: (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მარტივი პროცენტები. მარტივი ცვლადი განაკვეთი. რეინვესტირება მარტივი პროცენტით. დისკონტირება და აღრიცხვა. საბანკო და კომერციული აღრიცხვა. დაგროვებისა და სააღრიცხვო განაკვეთების შედარება. რთული პროცენტი. თანხის გაორკვეების ფორმულები. პროცენტების დარიცხვა წლების წილადური რაოდენობის დროს. ნომინალური და ეფექტური საპროცენტო განაკვეთები და მათი აღრიცხვა. უწყვეტი პროცენტები. პროცენტების დარიცხვა ინფლაციის პირობებში. ფინანსური რენტები. მარტივი ანუიტეტი. ჩვეულებრივი ანუიტეტის ნამდვილი ღირებულება და ჯამური თანხა. გადავადებული ანუიტეტები. კავშირი დაგროვებასა და ანუიტეტს შორის. ანუიტეტის გადასახადის განსაზღვრა. ჩვეულებრივი საერთო ანუიტეტები. ფინანსური რენტის პარამეტრების განსაზღვრა, მუდმივი რენტა. ფინანსური მათემატიკის ზოგიერთი გამოყენება. ვალუტის კონვერსია და პროცენტების დარიცხვა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1 და მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2” ათვისება.

კურსის კოდი - SEB0621

რეგიონული ეკონომიკა და მუნიციპალური მართვა (5)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: რეგიონული ეკონომიკის საგანი, მეთოდი და ამოცანები; რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის არსი და მნიშვნელობა; სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები; უფლებამოსილებათა განაწილების პრინციპები და პრობლემები მართვის ცენტრალურ ორგანოებსა და მუნიციპალურ სტრუქტურებს შორის; რეგიონის და თვითმართველი ერთეულების მმართველი ორგანოების სტრუქტურა; რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის შეფასება და მისი ადგილი ქვეყნის მეურნეობრივ კომპლექსში; მუნიციპალური პროგრამები – მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა; მართვის ადგილობრივი ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებანი; რეგიონის სოციალურ – ეკონომიკური პრობლემების შესწავლა ადგილობრივი მართვის ორგანოების მიერ; საქართველოს რეგიონული მოწყობის თანამედროვე პრობლემები.

კურსის ათვისების წინაპირობაა - ეკონომიკური თეორია, მაკროეკონომიკა, ფინანსური თეორია, სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბიზნეს უცხო ენა 1(ინგლისური HEB0511, ფრანგული HFB1250, გერმანული HFB0981, რუსული HSB0700) (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: უცხო ენის ლექსიკისა, გრამატიკის კომპლექსურ სწავლებას და ბიზნეს კორესპოდენციის წარმოებას უცხო ენაზე. მეტყველების ზოგადი უნარების განვითარებას. მოქმედებით და ვნებით გვარში ზმნების დროითი ფორმების განმტკიცებას, ზმნების უპირო ფორმების ფუნქციების გაცნობას, ტექსტის გაგებას და მასში მთავარი იდეის დადგენას, კითხვის ტექსტის სრულყოფას, თხრობის ჩვევების გაუმჯობესებას. ამ საფეხურზე სხვადასხვა თემის ირგვლივ (ერები და ქვეყნები, სამუშაო, ბიზნესის მართვა, მარკეტინგი, საბანკო საქმე, ფინანსები და კრედიტი) სასაუბრო უნარ-ჩვევების გაღრმავებას, მოსასმენი მასალის გამოყენებას

ბიზნეს უცხო ენა 2 (ინგლისური HEB0531, გერმანული HFB1210, ფრანგული HFB1021, რუსული HSB0571) (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ინგლისური ენა ბიზნეს მიზნებისათვის არის ინგლიური ენის პრაქტიკული კურსი და მოიცავს დამახასიათებელი სპეციფიკური ენის გაცნობას ბიზნეს – სიტუაციებზე დაყრდნობით ბაკალავრიატის სყუდენტებისათვის. მარკეტინგის, საერთაშორისო ბიზნეს-მენეჯმენტის, ბიზნეს საფეხურებისა და ბიზნეს კორესპოდენციების დაუფლებას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ბიზნეს უცხო ენა 1

უცხო ენა 1 (ინგლისური HEB0500 , ფრანგული HFB1190 , გერმანული HFB1180 , რუსული HSB0700) (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ენის ასპექტების წერის, კითხვის, მოსმენის, საუბრის სწავლება: **წერაში** სტუდენტი შეისწავლის წინადადების აგების ნორმებს; აზრის ორგანიზაციას; მთავარი, განმავითარებელი და შემაჯამებელი წინადადებების წერას; აზრის სახეობებს, საქმიანი ქალაქების შედგენას. **კითხვაში** სტუდენტი დაეუფლება კითხვის სხვადასხვა მეთოდს კითხვის მიზნების შესაბამისად: K დეტალური ინფორმაციის, ზოგადი ინფორმაციის, მთავარი ინფორმაციის (ტექსტის სწრაფი კითხვით) მიღებისათვის. **მოსმენაში** სტუდენტი განივითარებს მოსმენის საბაზო უნარ-ჩვევებს აუდიო-ვიდეო მასალის გამოყენებით. **საუბარში** სტუდენტი შეიძენს მარტივი დიალოგისა და მონოლოგის წარმართვის კომპეტენციას ისეთ თემებზე, როგორებიცაა იდენტობა, პროფესია, ოჯახი, მსოფლიო და თანამედროვე პრობლემები. ზემოთ ხსენებული უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და საშუალებების სასწავლო პროცესში ჩართვას ეფუძნება, რომელთა ურთიერთქმედება სწავლების მაღალეფექტურობასა და ინტენსივობას უზრუნველყოფს.

უცხო ენა 2 (ინგლისური HEB0520, ფრანგული HFB1010, გერმანული HFB1200, რუსული HSB0710) (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კურსი ითვალისწინებს ენის ოთხივე ასპექტის უფრო მაღალ დონეზე დაუფლებას: **წერაში** სტუდენტი შეისწავლის ესსეს წერის პრინციპებს, შესავალი, ძირითადი და დასკვნითი აზრების სპეციფიკას, ესსეს ტიპებს და საქმიანი მიმოწერის წარმოებას. **კითხვაში** სტუდენტი დაეუფლება მაღალი დონის ადაპტირებული და ორიგინალი ტექსტის კითხვის პრინციპებს. **მოსმენაში** სტუდენტი განივითარებს მშობლიურ ენაზე მოსაუბრის მეტყველების გაგების უნარ-ჩვევებს. **საუბარში** სტუდენტი შეიძენს დიალოგის და მონოლოგის

წარმართვის კომპეტენციას ისეთ თემებზე, როგორებიცაა დანაშაული და სასჯელი, ეკონომიკა, მედიცინა, ეკოლოგიური პრობლემები, მსოფლიო უსაფრთხოება. ამავე დონეზე ხდება სპეციალური (დარგობრივი) ტერმინოლოგიის შესწავლა და დარგობრივი ტექსტების დამუშავება.

კურსის შესწავლის წინაპირობა კურსი უცხო ენა 1 (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული)

8. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააზარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაზარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.